

1962

ლირეჯომარი

თავისუფალი
ბიზნისი



თანამშრომელი

I ამაღილი

II ამაღილი

III ამაღილი

ბიზნისის ბარიერი.

№ 14

თბილისი ივლისი

1962

ლირეჯომარი

ნახ. ჯ. თოლოვაძე

ბიზნისის ბარიერი

მილიონ ორას ოთხმოცდაოთხი ათასი მანეთი ახალი კურსით ხომ საკმაოდ დამაჯერებლად ჟღერს, მაგრამ არც ძველი კურსით გამოიყურება საწყლად. მიუხედავად ამისა, ეს კოლოსალური თანხა მაინც არ არის საკმარისი ამხანაგობის სახლის ასაშენებლად და იმ ხალხს, რომელთა შენატანმა სახსრებმა ჯერჯერობით ამხელა ციფრი შეადგინეს, ბარემ კიდევ ორი მანეთის შეტანა მოუწევთ ამხანაგობაში. ასე არ არის, ძვირფასო სიმონ ჯანაშვილო? 1960 წელს რომ № 38 საბინაო ამხანაგობაში შედი და 130.000 მანეთი შეიტანე სამოთახიანი ბინის მისაღებად, ასე იაფად ვინ ავიშენებს? ერთი მაგდენის შეტანა თუ არა, მაგ თანხის ნახევრის შეტანა ხომ მაინც დაგჭირდება? რა თქმა უნდა, დაგჭირდება და, მე შენ გეტყვი, ვერ იშოვი. თბილვაჭრობის სისტემის № 6 მხატანსაცმლის მაღაზიის უფროს გამყიდველს მაგი არ გაგჭირდება. არც თბილუნივერმადის სექციონერ აბრამ ისაკის ძე მამისთვალვს გაჭირვება ფულის შეგროვება და № 57 საბინაო ამხანაგობაში შესვლა. ცოტა მეტი შრომა ერგო წილად № 22 კოოპერატიულ საბინაო ამხანაგობის წევრს გიორგი ნებერიძეს. მან რთული საფინანსო ოპერაციები ჩაატარა, იგი, როგორც თვითონ ჰყვება, კერძო ბინაში ცხოვრობდა და ორი ოთახი ეჭირა „ატსტუპნოიდ“, მერე მან ახალი მობინადრისაგან 180.000 მანეთი მიიღო „ატსტუპნოის“ ანგარიშში. არსებული თანხიდან 30.000 მანეთი სახლის პატრონს მიუგდო, დარჩენილ 150.000 მანეთს გამო-

აკლო 112.000 მანეთი (ე. ი. 11.200 მანეთი, ახალი ფულით) შეიტანა ამხანაგობაში და ახლა ელოდება უმწიკვლო შრომის ფასად დაგროვილ სახსრებზე აშენებულ სახლში შებრძანებას.

ნიანგი გულუბრყვილოა, გულჩვილია, ნაზია და ბავშვივით მიაძიტი, ნიანგს სჯერა შენი ზამთრის ზღაპარით ტკბილი ნაუბარი, ჩემო გიორგი, მაგრამ ამ ჭორიკანა ხალხს როგორ აუკრავ პირს, რომ გაიძახიან, რკინიგზის მუშათა მომარაგების ხაზით მუშაობსო, ხორცის ნახევრად ფაბრიკატების წარმოების უფროსად მუშაობსო. ხალხმა არაფერი თქვასო და ამხანაგობაში თავისი ცოლი ქეთევან ყორყოლიანი გააფორმო და სხვა მრავალი გულის გასახარელი ამბები. აბა შენ იცი, გიორგი, ხალხს თუ სალაპარაკოს მოუსპობ. ისე, ჩვენში დარჩეს და ცოტა ნიანგსაც კი უკვირს, ამდენ ფულს საიდან შოულობ, დალოცვილო. აბა საგალანტერიო ფაბრიკის დამხარისხებელ მიხეილ ნამთელაშვილს რა ჭირს თავის გასამართლებელი, მის ადგილზე, თუ კაცი 110.000 მანეთს ვერ შეაგროვებს და ამხანაგობაში ვერ შეიტანს, რაღა დამხარისხებელია, დაიხუროს ქუდი მამინ და წავიდეს სახლში.

ნეტავი ვის და რას გაადინა ბღღვირი ლიდა დღვირელმა, რომ № 22 საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობაში შევიდა და 120.000 მანეთი შეიტანა? აკი ვითხარით, ნიანგი გულჩვილიაო, ჰოდა, ნიანგს ეკოდება ლიდა, ქმართან ყოფილა გაყრილი, მაგრამ, ისევე ბოროტი ენები ლუპავენ საქმეს; ვილაცამ თქვა, ფორმალურად არიან გაყრილი.

ზინა ზებულაშვილი გამოცდილი პედაგოგია და 230.000 მანეთის შეგროვება მისთვის, რა თქმა უნდა, არაფერია, რომ ამხანაგობაში შეიტანოს. ნიანგს არც აქვს მის მიმართ რაიმე პრეტენზია, ოღონდ თხოვს, ასწავლოს საწყალ ღვართაქეც მარუთინიანს, როგორ მოახერხა ამდენი ფულის შეგროვება, რადგან ბედოვლათმა ღვართაქეცამ 170.000 მანეთის მეტი ვერ შეაგროვა ჯერჯერობით, არა და ფული კიდევ აქვს შესატანი.

ელოზავეტა სერგოს ასული მდლიანი ძალიან მუსიკალური ქალია და მისთვის განსაკუთრებით საჭიროა რეზონანსისა და აკუსტიკის ნორმებდაცული ოთხოთახიანი 86 კვ. მეტრის ფართობიანი ბინა, ამიტომ 120.000 მანეთის წინასწარ შეტანა აუცილებელია და არც არავის საქმეა, საიდან მოიტანა ელოზავეტამ ამდენი ფული, მაგრამ ნიანგი ცნობისმოყვარეც არის და, იმედია ელოზავეტა არ გაუტეხს ხათრს და დააკმაყოფილებს ნიანგის ამ მანკიერ თვისებას.


დავით აღმაშენებელს, როდესაც ქალაქებსა და სოფლებს აშენებდა, როგორც შემთხვევითად აღმოგვეცნა, არავითარი მორცხვობა არ გამოუჩენია, პირიქით, იგი ამაყობდა და აკი დაფასა კიდევაც შთამომავლობამ. პირდაპირ განსაცვიფრებელია, რატომ მორცხვობს სამკერვალო ფაბრიკაში მომუშავე გურგენ ტუტუნჯიანი და რატომ აფორმებს ამხანაგობაში თავის მეუღლეს გრაციონ პონტიკიანს. განა ისეთი ვინ არის გრაციონი, რომ ქმრის სახელის გამოჩენა შერცხვეს, ან გურგენი ვისზე ნაკლებია, ვითომ რა, 172.000 მანეთს თვითონ ვერ შეიტანდა ამხანაგობაში? ან ა. სულთანაშვილს რა ჭირს სამარცხვინო, ეს დევივით ვაყვაცო რომ იმალება და თავის მეუღლეს უმწეო ქალს ლეილა ლოსაბერიძეს აფორმებს ამხანაგობაში. დავიჯერო და ის ამხანაგობაში შეტანილი 120.000 მანეთი მზითევში გამოატანა მამიკომ ლეილას? გამოჩნდით ამხ. ა. სულთანაშვილო, რისი გრცხვენიათ. თქვენზე ნაკლები ბიჭებია შ. აბაშიძე, შ. ქავთარაძე, ზ. ბობოხიძე, რ. გიორგობიანი და სხვები, რომ არ იმალებიან და ვაყვაცურად აშენებენ სახლებს? — არა გვგონია.

ნიანგი გულუბრყვილოა, ნიანგი გულჩვილია, ნაზია და ბავშვივით მიაძიტი. ნიანგს მობეზრდა წყალში ცხოვრება, ნიანგსაც უნდა ამხანაგობაში შესვლა და ოთხოთახიანი ბინა. მამ გამოდით მეგობრებო და ასწავლეთ თქვენს ერთგულ ნიანგს, საიდან შოულობთ ამდენ ფულს.

ნ.ბ. ვ. კუმბურიძის



ტროლეიბუსი ფარეხში დაბრუნდა.



— საოცარია, ერთ წელიწადში თვრამეტი ადგილი როგორ გამოიცვალეთ?
— რავა, ბატონო, ხომ არ მოვუხსნივართ, ჩემი განცხადებით ვარ წამოსული ყველა სამსახურიდან!

მიუყობლა ჩინაში

ნიკოლოზ გიორგისძე ნიკოლაძემ თავიდანვე აიღო კანონზე და კანონიერებაზე ხელი, მაგრამ კანონგარეშედ არც საკუთარი თავისა და არც საკუთარი ნამოქმედარის გამოცხადება ფიქრადაც არ გაუვლია.

1940 წელს სახლების ინვენტარიზაციის ეპის ნიკოლოზი ფლობდა ერთ 17 კვადრატული ფართობის მქონე ოთახს და 11,32 კვადრატულ მეტრ სათავსოს, უნებართვოდ აშენებულ-დამშენებულს. ასედაც აღირიცხა მისი ეს ნაგებობა, მდებარე ბახმაროს ქუჩა № 17-ში.

მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრმა ხალხმა გაიარ-გამოიარა ბახმაროს ქუჩაზე. დაკვირვებული თვალი უმიკროსკოპოდ და უტელესკოპოდ უთუოდ და უექველად შეამჩნევდა, რომ ნიკოლაძის ბინა იზრდებოდა, ემატებოდა სიგრძეც, სიგანეც, სიმაღლეც, ერთის სიტყვით, ვაჟკაცდებოდა მზრუნველი და დაუშრომელი მოამაგის ხელში.

ასე და ამგვარად, ნიკოლოზ ნიკოლაძის სახლმა ძირითადი უნებართვოდ ნაგებობისა და შემდგომი თანდათან, დროგამოშვებითი მინაშენ-მონაშენების სახით, 110 კვადრატულ მეტრ ფართობამდე მიაღწია მესაკუთრე-მფლობელის გულის გასახარად და ავი თვლით ეზოში შემომხედავის თვალების დასაცხებდა.

ვინმე რაზმაძე უბინაობით იტანჯებოდა, გაიგო საიდანაც და რაღაცა მანქანებით ნიკოლაძემ, აიჩვილა გული პატივცემულმა, კაცი არა ვყოფილვარ, უკანონოდ აშენებული სახლის ნაწილი თუ მას კანონიერად არ დავუმტკიცოო, თქვა გუნებაში. მერე ახტა-დახტა, ბევრი იარა, თუ ცოტა, ქალაქის საბჭოს ტექნო-

რიცხვის ბიუროს მიადგა გაშანშალებული არ-ზით და სახლის გაკანონიერება მოითხოვა.

არ არისო კანონიერი და ტყუილ-უბრალოდ არზებს ნუ წერ, თვალი გაგიფუჭდებაო, მოახსენეს ნიკოლაძეს წერილობით და ოფიციალურად.

ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს და ქალაქის საბჭოს როგორ ვერ გაანათებსო, — გაიფიქრა ნიკოლოზმა, რამდენიმე გატყუილებული თუმნიანი კონფერტში ჩადო და მიართვა ტექნოლოგიის ბიუროს ერთ-ერთ პასუხისმგებელ მუშაკს.

კონფერტი კალინინის რაიონის მილიციის განყოფილებამ გახსნა და შიგ 40 მანეთი აღმოჩნდა.

— რად წუხდებოდით? — კითხეს ნიკოლაძეს.

— იმ ამხანაგისათვის პატივი მინდოდა მეცაო, — იყო პასუხი.

სახლი არა და არ გაუფორმეს ნიკოლოზს, მაგრამ საქმე გაუფორმეს და ბინის გამოცვლასაც ამ დღეებში პირდებინან. უფრო შესაფერადგოდას მოგათავსებთ და შენი იქ ყოფნა ნებადართულიც იქნება და მიზანშეწონილიცო, — ეუბნებინან.

ნიკოლოზი კი ჩაფიქრებული ზის და ფიქრთა რაზმშემოსული თავის თავს ეკითხება: — მე პო, პო, მაგრამ რაზმაძეს რას ერჩოდნენ, უბინაოდ რატომ ტოვებენო.

ასე სცა პატივი ქალაქის საბჭოს ტექნოლოგიის ბიუროს თანამშრომელსა და, რაც მთავარია, საკუთარ თავს ნიკოლოზ ნიკოლაძემ.

დათო.

ბედნიერად ცხოვრობდა კაცი და კაცურად უნდოდა ეცხოვრა და ეს ცხელი ნიერების მაძიებელი ლაზო იზრალაშვილი გახლდათ. თბილტანსაცმელვაჭრობის № 2 მაღაზიის № 169 კიოსკში მუშაობდა გამყიდველად კოლმეურნეობის მოედანზე და ახარებდა თავის ჭიას.

მიმდინარე წლის 7 ივნისს სხვა გამყიდველებისაგან გადმოიბარა კიოსკი და მასში მოთავსებული საქონელი გამგე-გამყიდველმა ლაზომ და გააჩაღა აღებ-მიცემობა. სხვათა შორის, მამაკაცის 143 კურტაკი გადმოიბარა მაშინ და მერე საქონელი აღარც კი მიუღია მაღაზიიდან.

13 რიცხვი საბედისწერო და, პირდაპირ რომ ვთქვათ, თარსიაო რომ იტყვიან, ეს ცამეტმა ივნისმა უკამათოდ დაუმტკიცა ლაზოს. სამმართველოს წარმომადგენლები „ეწვივნენ“, მიუთვალ-მოუთვალაიერეს კიოსკი და, რატომღაც, ებევრათ კურტაკები. თვალეს, თვალეს, ცამეტი რიცხვის პატივსაცემად ბარემ ცამეტჯერ გადათვალეს და, არც მეტი და არც ნაკლები, 215 ცალი აღმოაჩინეს.

შვიდში 143 ცალი გადმოიბარა ლაზომ, ახლა კი, თუმცა შემდეგ არსაიდან მიუღია, 215 ცალი კურტაკი რომ აღმოაჩნდა, კითხეს საიდანაო: — რა ვიცი, ბატონო, — გამიყვია, თორემ 143 ცალი იყოო, მიუგო.

აი ცხონებული ლუარსაბის ლოგიკის ცხოვრებისეულობის ცოცხალი დადასტურება.

შედეგა აქტი, დაილუქა კიოსკი, მოხსენდა სამმართველოს უფროსს, 2-3 საათში გაძლიერებულმა კომისიამ აღწერა იზრალაშვილის „სამფლობელო“ და 215 ცალი კურტაკი და 169 იმპორტული შარვალი აღმოაჩინა. ფიქსირებული იქნა ეს რიცხვები, ისევე დაილუქა კიოსკი და გასაღები, წესისა და კანონის თანახმად, მატერიალურ პასუხისმგებელ იზრალაშვილს გადაეცა. სამ დღეში გააუქმა სამმართველომ კიოსკი, მოხსნა იზრალაშვილი, გამოგზავნა კომისია და № 2 მაღაზიის ორი სექციონერი და ლაზოს უბრძანა გადაბარეო.

მოავლეს პლომბს ხელი და მოძვრა პლომბი. „ცული ნიშანიაო“, თქვეს. აცნობეს კალინინის რაიმილიციას, რაიმილიციის უფროსმა ქებურიამ გაგზავნა მუშაკები... დაილუქა კიოსკი... მერე გახსნეს და თვალეს და თვალეს კურტაკები, იმპორტული შარვლები.

136 კურტაკი აღმოჩნდა ახლა და 249 შარვალი.

ფაქტურად გააქრო იზრალაშვილმა უფაქტურო კურტაკები, დაფარა მათი წყარო, წაშალა კვალა...

დანაკლისი რომ არ აღმოჩნდოდა, 180 ცალი შარვალი შემოაცოცა საიდანაც, ვიეტნამური საქონლის უფაქტურობას ვინ დამწამებსო და რა უფლებითო, იფიქრა.

ლუარსაბის ლოგიკით ცდილობდა იზრალაშვილი გზა-კვალი აერია სხვათა და სხვათათვის, მაგრამ კოვზი ნაცარში აღმოჩნდა და იზრალაშვილი ჩაკეტილში.

ითვალოს ახლა ბუზები და არკვიოს, გაფრენილან თუ არ გაფრენილან.

მისო.





— ახე ვიტანებთ ამ ხიცვში, ოთხი ღარი ღვინო გამოვადეთ და მაინც უსაქურტებს გვეძინაინ!

ჩაობნე - უსიხინი სიხი

არღვევებზე წასვლის წინ ნინამ გე მოპოვა კითხვა-პასუხის სადამო. ჩვეულებრივად ამბობენ უმარევი კორესპონდენტი, ფორტუნიტორია სერვისმუდრეული დასწრო, პირველი კითხვინაგან პათოსის რაიონის სოფელ ახალშენის მცხოვრ. მიხარია, მან, რატომღაც, დამალა თავისი ვინაობა კითხვა-პასუხის სადამოზე „აღმარებულია“ ფეხდელი წარღვა.

კითხვა: ძვირფასი ნინა, მე მინა დანერგულად კი არ ვარ, ეს გვარი სამა წლის წინ უჩინოდ განახლებამი მისასვლელად აშენებულმა საბატონებულად დაირქვა. ახლა ეს ხელი დახვალა და ვაგის ლექსის არ იყო, გამოიღო ჩვენი ვე და გავხა ისინი. ოღონდ არც ვთქვამთ, არც ვფიქრობთ, არც ვინა, ნინა, გვიჩვენო.

პასუხი: სწორად იქცეით, რომ არ იცნობთ და არც მითითი, არა დასწრულ ხილის პურებს რა გვეთ სადღიარო. რეგეს კი ასეთს მოეცადაგან ახალშენის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ღარიკ თქვენი ფეხრება და აღარც „სამუშაოთა აქარი მითვისებული კორესპონდენტი, გამოცვლით, ახირი მაინც გამოუცვალეთ, მას დააჩქარე დანერგული ხილი თქვენი აღდგინეთ თქვენი ნაღვლივი გვარი.

კითხვა: დიდდ პატრიკეული ნინა მე ს. სულაოე.

ლი გახლავით. ვინის რაიონის სოფ. სულაოეში, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნის აბანოებზე ნაგლები აბანოები არ არის და საქმია დამსვენებლები უკანს ავტობუსი და მეუბნის. მართალია სასოფლო საბჭოს წინ თუთის ხეზე ჰკლია წარწერა, ავტობუსის გვერდებო, მაგრამ ავტობუსი არაა და არ უნდა გასწორდეს? გრის ანია, სულაოეში, არ ვგექს სინათლე, სინათლე სურვილი და ადმირატი მთლიან არ ვგეჭვობთ. ესეც დეკრეტარია „სამადლოს“ სინათლეში. ვარდა იმისა, რომ ომის ორ სათავედ ლეოტობის ქუჩის სიმღერების ანსამბლის ფეხა კონცერტებს ემსგონ, სწორად შემტრევის, ლაზარდარობისა და უწყნარო ლანღვინების მოწვევები არის ჩვენი რაგები. ან გვიგვეს: საყვარელი ნინო, ან გვიჩვენო რაგე.

პასუხი: მე რა უნდა ვთქვათ, ძვირფასო მეგობრობო, სამადლოზე მაღალი კარგი ადგილია, სუფთა პავრია, სიგარილა და დასიხებულ ხალხს სწორად იმბრეტანება იქნება, მერე ავირეულბათ ყველაფერი... ხომ მოგეც სენებად ღვინის ამაგი... ისე მაგალი კი იქნებოდ, „სა მადლოს“ ნაგვად მანდ ბავშვთა სანატორიოები ან დასაცვებებელი სახლი აიშენებინათ. ან და წესრიგი დეგვიარებინათ რეტორაში.

პასუხი: თქვენი საქმი შედარებით უფრო რთულია. უპირველეს ყოვლისა, ვფიქრობ, საქირია თუთის ხეზე ძველი წარწერის ჩაბოხნა და ასეთი წარწერის გაფეთება: „ამ ავტობუსის დღემდე არ გაიწერებულა, ამანაგებო, და ჩვენი რაიონის სტრასმპორტო კატორის შემეცურე, ალბათ, არც არასდროს გაიწერებო.“

სინათლის საკითხის გადაწყვეტა ძნელია, რადგან ამ საკითხში ღვინო ურეგია და ვერაფერს მოეცემათ, ხოლო, რაც შეეხება ტელეფონების ქსელში რაიონებოგარაბის ჩართვას, ნინამ მიგანია, რომ თქვენ ამ მხრივ ს-

„პოეზია“

კვამი ბეაბომ



მეტიეს, წყარგუარასი ბაგრატი, ვიდაც ჩასტყუებულ შეანის კაცს უსამად ზაიონ ქანას; დროამომეხით ისინიარე შეგოა რადე წააღო დასწრულ ხელს სტყუებო. თოფის ტყვიანულთან კი არა, სპანთინთან აქვს საყენ და ზმის სპრელებით უნდა მისი ხელსაბნაობა შეამბოხოს.

— კარგი ხმა აქვს, არა, ბაგრატი — გამოსძახება ხოლმე ყოველ გამაგრებაზე მებობლე მეტიეს არაყნა და ზედ თაღის ჩაგრვლიც მიავიყუდა. საყენი გართული ბაგრატი უმეაიფიქროდ შოდას ხელგამა და ზეღუნაზღუნებით იუვრებოდა მებობლის მხარეს.

საყმო ლოდინის შემდეგ, ბაგრატიმ ქვევიდან ამომხედა და ხელეზში შეგბარდა.

— ეს არა ვიჭრის ხელში, ნათლობამ, არ არის?
— ბოლოთა, ბაგრატი, ქმისა...
— ვაჰ... ანანი თეატრი ზომ არ არის, ნათლობამ, რომ უბლე-თილ არა დაღბარა. მე არა ნათობა, ხალხი შეუძს.
— შენც ხალხი მოიჭრის ნათობებით ვაუწყებ.
— ნათობა რა, ცხელს კენთან კი არა ხარ, წაღე ვე ბილეთი და აჩანანს მიყარ შეგლე...
— არისნა შენან გამოშვებანი.
— თუარე შეგის, ყველა ზარალს რომ მე მოგზან... ვა... ვა... მეგონ იმბში თუ არ ამოვლე მამ კაცე არა ვიყო...
— ბაგრატი იული მოწოდება, არყნა მეტიესს მწერალი თვალბით დაეხადე და საქმი განვარტო:
— „ავტობუსი მიტოვო მოვიღო!“, „ნათესაო ვართან, მუშეო მოვიშორეთ“, „კახაბე ვისო ქმისთან“, „ჩვენი ნოქირი რას უღდის“ — და მიღმოდინდენ ახალსილებით, ბაგრატას ქმის ქვეშ იწერებოდნენ, მაყარ შეგლე...
— ბაგრატი დასწრული ბილეთით ხელში იღებდა და სტევის პანაობს შეეცურებოდა.
— ბოლოს და ბოლოს, როდემდე უნდა ვიცავთ, თუ იყო! — წამოვიდებო რითი საათის ლოდინის შემდეგ უკვე მართლა ვაჩვენებულა.

— ვაჰ... ასე მალე ჩაიკვდას ახალშენი, ფურს აიღებ.
— ბაგრატი ტარე წაღო გილამასა და მისი ტუბანტუბით გასწორდა. თანხაში ითხიბდა. არ მასსოფს იყო ხანი შეგვიანდა, ბაგრატი ის კი კარგად მასსოფს, რომ ღოი გაგვიანდა და ცემენტი ტარე ტარე გორაბით ვეგრიდები ამბობდა. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ დაბრუნდა ბაგრატი, სხეულში კარგა ქმის გითურეტი და წამოვიდებოდა ხელი გამოშვებული ჯარ კილდე ჩაქვული არ კივავი, რატორბა თაგუნ დაღვდა და მხარეზე ხელი მოითათუნა:
— კარგად იმანვე, არაა, ნათლობამ...
— ძალიან, ბაგრატი, კილდე ცოტა და შენი „შომბნები“, ალბათ საბოინს წამს...
— კარგი... კარგი, ნე ტორბინი, ანა...
— თქვენი გილანობი ბაგრატი...
— ჩვენ რა უნდა ვეკარბოთ, სულ...
— სწორად ხარა, მაგრამ ყველაზე უკანს უკან იტრება ხაბიონი ქმისა, მუშისა...
— მამ არა საყენი, ნათესო აღარ არის არის, ბაგრატი, როგორ არ არის, ვე...
— ამაღე პატონას და სინდისთან მუშე...
— ბაგრატი მოუღ მარგალი ვაისწერა...

ნათესავის და მოყვარის ისმინა შორი დაღლი, კარდის ნაგვალ... ნოტები მიიღო ჩვენმა ალთათი!



კ. გომიზაშვილი.

ქობინი ქმისი

კითხვს ერთხელ ბუღალუს: როგორ გალმის შამგი; თუ გობია ვეულები, რაა მისი ფასი? თქვე ვეულებო—მე შამგს ვესმენ დღით ხანი, ვეუბრა ზობნის ის სტევის სწიწნიანი ხანით, თუცა მოაქვს თავი, რადა ეგ და ყვავი.

ბობინა შამგზე ერთხელ: საყენ მამინ წახდა, მიმღერათა მეფედ ბუღალუს რომ ვახდა. სულ წყვილი ხმაზე კნავის, ვით ბაბალო ყვავის.

სამწყურად, ზოგ ზოგს მოსწონს მხოლოდ თავი, ბანის შემწერს ტურნის, ხოლო ტობორს ბანის.




მისა შილდლი.



ნახ. თ. გვილაშვილი

შვილო, ვაკაცულ ნაწული, გზაში არაყინ შეგნისის ჩემზე უარესი ვინდა შეხედება, რომ შევინდეს!



— ჯონდო, გამოცდების არ გეშინია?
— მე რა, მამაჩემმა იკითხოს!

სიკეთის ნაწარმსა



- არ გაუშვით ურიგოდ ეგ აყლაყულა!..
 - ეგ შენს გოგონას არ ეკითხება!..
 - თქვენში ასე ელაპარაკებიან მანდილოსანს, შე უზრდელი?!
 - უზრდელიც ხარ და გაიძვერაც!..
 - გაიძვერა შენ ხარ, რომ ხალხს ტყავს აძრობ!
 - ჩემი შენ გითხარო!..
 - მე მიტოვებენ, ძალით არავის არ ვართმევ!..
 - მეც მიტოვებენ, აბა, თოფით ვის გადავუღებე გზაზე!..
 - შენმა თავის გახეთქვამ, ხელფასით წამოჭინე ორსართულიანი სახლი!..
 - შენმა თავის გახეთქვამ, ხელფასით უყიდე შვილს „ვოლგა“!..
 - ეგ არაა შენი საქმე!..
 - არც შენი საქმეა და ჩაიგდე ენა მუცელში!..
 - შენ ჩაიგდე ენა მუცელში და დადექი რიგში!..
- ამასობაში სახალხო რაზმელებიც გამოჩნდნენ. როგორც შემდეგ გამოირკვა, ქალს, მოლარედ უმუშავებია სასადილოში, კაცს კი ლუდის გამყიდველად ბუფეტში და, თურმე, შორიდან იცნობენ ერთმანეთს.

ზ. მარმარაშვილი.



სამუშაოთა მწარმოებელიც ვარ, ტყის მეგობარიც და ახირებული ცოლის პატრონიც.

დენდევით იმიტომ ვიცვამ, რომ ჩემმა კობწია ცოლმა დენთივით არ იფეთქოს.

იმ დილითაც სასიძოსავით გამოწყვილი და ჰალსტუხის მარჯუფით ნახევრად ჩამომხრჩვალ გამოვცხადდი სამუშაოზე.

მთავარ ინჟინერს, ინჟინერს, ბრიგადირებსა და რიგით მშენებლებს ტანსაბურები ჩაეცვათ, როგორც ყოველთვის, მართო მე გამოვიჩრჩოდი წითელი კოჭივით.

ყველამ ჩვეულებრივად მიმიღო და ყველა ჩვეულებრივად მივიღე.

ჩვეულებრივმა დღემ ჩვეული ნაბიჯებით გაითრია ფეხები ყველასთვის და, ასე მეგონა, ჩემთვისაც.

მაგრამ, ადამიანი რომ ბჭობს, ღმერთი იცინის და იმ დღესაც იცინოდა.

საკუთარი ფეხებით არა, მაგრამ საკუთარი „ვოლგით“ თვითონ მინისტრი გვეწვია, ისევე მოულოდნელად, როგორც ქუხილი მოწმენდილ ცაზე.

ახედ-დახედა მშენებლობას, მშენებლებს და ის ჩემი ცოდვით სავსე დაბარებულებით მომადგა მე.

ხელი ჩამომართვა, მკითხა რა გაკლიათ, რა დახმარება გინდათ, საქმე როგორ მიდისო.

ხან ნუყო,
ყან
ქნუერი

ხან გაგვითლდი, ხან გაგვეითლდი, როგორც დიდი უფროსის წინაშე სამართლიანად ემართება უმცროსს, მაგრამ გამბედაობა მაინც მოვიკრიბე და პასუხის გაცემა მოვახერხე.

ჩემი პასუხით კმაყოფილი დარჩა, წარმატება მისურვა, ჩამომართვა ხელი და წავიდა.

მე თავისუფლად ამოვისუნთქე, სამაგიეროდ, მთავარი ინჟინერი იდგა სუნთქვაშეკრული, გაბერილი, გაგულული, გამეხებული, თვალგადმოკარკლული.

— არ გაბედო ასე გამოპრანჭული მოხვიდე სამუშაოზე, — მიღროლა თვალთა ბრიალით.

მივუხვდი რა ნესტარითაც იყო ნაკებნი და კრინტი არ დამიძრავს.

მაგრამ: რა ვქნა ახლა მე?

გამოუპრანჭავს ცოლი არ გამომიშვებს, გამოპრანჭულს სამუშაოზე არ მიმიღებენ.

ჰოდა, თქვენ გეკითხებით — რა ვქნა ახლა მე?

პარაზოტი.



ნახ. რ. მახარაშვილისა.

- ძია, ხურდას რატომ არ მიბრუნებ?
- ვახ, ამოდენა კაცმა ეზოში ნაყინი მოგიტანეთ და კიდევ ხურდას მოხვოთ!

388
26/11
62

ორი ტურისტი საკმაოდ ძველ სასტუმროში შევიდა.

— რა ღირს ეს ღორების სადგომი? — იკითხა ერთმა.

— ერთი ღორისთვის ორი დოლარი, ორი ღორისთვის — სამი.

მოგარაკემ აგარაკის პატრონის ბიჭუნას ჰკითხა:

— ვილი, რატომ ცდილობს თქვენს ღორს ჩემს ოთახში შემოსვლას, მომეჩვენა?

— არა, სერ, ეგ ზამთარში მისი სადგომია.

— ნუთუ არ იცით, რომ საერთო პირსახოცები სასტუმროებში ჯერ კიდევ სამი წლის წინ აკრძალეს.

— ვიცი, სერ, მაგრამ ეს პირსახოცი ჩვენ იმ კანონის გამოსვლამდე დაგვიღებთ აქ.

— რა ღირს შენი ატამი?

— თითო პენი, ლედი.

— ერთი ცალი მომეცი.

— ბანკეტი გაქვთ?

— დიდხანს გასძლებს ეს ფეხსაცმელი?

— ნამდვილად, სერ, რაც თუკი მახსოვს მეორე წყვილი აღარავის უყალიდა.

— ოფიციატო, რა არის ეს უფეხო კიბორჩხალები რომ მოგაქვს?

— საქმე ისაა, სერ, რომ სამზარეულოში ცოცხლები გვყავს და ჩხუბობენ, მარწუხებს აგლეჯენ ერთმანეთს...

— მაშ ათი გამარჯვებული მომიხარშეთ.

თარგმანი ზ. გვამაზაშვილისა.

ყსხმ-ყრაღოყყრაღო

გვიგანული იუმორი

— რამდენ ლიტრ რძეს იწველის შენი ძროხა დღეში?

— ათს.

— რამდენს ყიდის?

— თხუთმეტს.

— მე და ჩემი ცოლი 25 წელი ბედნიერები ვიყავით.

— მე რა მოხდა?

— მე რა?.. ერთმანეთი გავიცანით.

თარგმანი

ც. ანდრონიკაშვილისა.



ზრანგული იუმორი

— რამდენი წლისა ხართ, მეგობარო? — შეეკითხნენ ერთ მოხუც გლეხს.

— არ ვიცი, სამოცდაორის თუ სამოცდასამის.

— როგორ! არ იცით რამდენი წლისა ხართ?

— რა საქირაო? მე ვითვლი ბატენებს, ქათმებს და ფულს, რადგანაც შეიძლება მათი მოპარვა. ჩემს წლოვანებას კი არავინ მოიპარავს.

ერთმა თქვა საშინელი მიწისძვრა ვნახეო.

— ძალიან შეგეშინდათ?

— არა, არცთუ ისე ძალიან, მიწა უფრო კანკალებდა, ვიდრე მე.

ამპერი გულმავიწყი იყო. ერთ დღეს იკითხა: — არ ვიცი, რა ვუყავი ოთახის გასაღები?

— ჯიბეში ეძებეთ?

— ვეძებე.

— მსახურს ჰკითხეთ?

— ვკითხე.

— მაშ სად დაგრაჩათ?

— არ ვიცი, ყველგან ვეძებე: უჯრებში, კარადაში, კომოდში.

— როგორ, თქვენს ოთახში ეძებეთ?

— დიახ.


— შუგ როგორ შეხვედით?

— ჰო, მართლა, გასაღები შევედი. საოცარია, ალბათ, კარებში ყოფილა.

თარგმანი ი. ჩხიკვაძისა.

— სტუდენტი ჰანს მაიერი აქ ცხოვრობს? — ჰკითხა ქალბატონ შულცეს ეზოში შემოსულმა უცხო კაცმა.


— ჰანს მაიერი აქ ცხოვრობს, მაგრამ, სტუდენტი თუ იყო, არ ვცოდი, ღამის ღარაჯი მეფონა.



— საბრალო ფრანცი დ-ურუდა, გამყიდველად აღარ გამოდგება და, ალბათ, სამუშაოს დაკარგავს. — უთხრა მოლარემ სექციონერს.

— ნუ წუხხართ, ქალბატონო, დირექტორი საჩივრის განყოფილებაში გადაიყვანს.

თარგმანი შ. აშირანაშვილისა.



უტექსტო ხუმრობები პოლონურ ჟურნალ „შაილკიდან“

— ნეტავ რატომ ჩამოკიდეს ეს სურათი?

— ალბათ, იმიტომ, რომ მხატვარი ვერ იპოვეს.

პროფესორი — სულელს უფრო მეტი კითხვის დასმა შეუძლია, ვიდრე ბრძენს პასუხის გაცემა.

სტუდენტი — აღარ მივიჩნის, რომ ამდენი სტუდენტი იჭრება გამოცდებზე.

— ჩემს ცოლს საშინელი მებსიერება აქვს.

— ყველაფერი ავიწყდება?

— არა, ყველაფერი ახსოვს.

თარგმანი ბ. შვარცისა.

რედაქტორი ნ. შველიძე. | სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, | საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
 ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, თ. ჭელიძე.

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. | რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 14/VII-1962 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმითა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმით რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № შექვ. № 1366, უფ. 09162 ტირაჟი 40.000

ამერიკელ იმპერიალისტებს უყვართ კვებნა, რომ ეხმარებიან სუსტად განვითარებულ ქვეყნებს, რომელთა შორის ისინი თურქეთსაც ასახელებენ. ენახოთ, რა დაემართა ამ ქვეყნის ეკონომიკას მათი „წყალობის“ შედეგად.

დასავლეთი ევროე წოდებულ დახმარებას უწევს თურქეთს 1949 წლიდან. 1948 წელს, ესე იგი სანამ მენდერესის მთავრობა მიიღებდა ამერიკის შეერთებული შტატების „დახმარებას“, თურქეთის სამრეწველო სექტორი იძლეოდა ეროვნული შემოსავლის 10,5 პროცენტს, ხოლო 1960 წელს, ამერიკის 12 წლის „დახმარების“ შემდეგ, სამრეწველო სექტორის წილმა თურქეთის ეროვნულ შემოსავალში შეადგინა 10,9 პროცენტი. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ თურქეთი, როგორც იყო, ისევე რჩება სასოფლო-სამეურნეო ქვეყნად, რომელსაც არა აქვს საკუთარი რამდენადმე განვითარებული მრეწველობა. თურქეთის ეკონომიკა ნამდვილ ჩიხში აღმოჩნდა. თურქეთს იმდენი ვალი დაედო თავისი კრედიტორებისა, რომ ვალების გადახდა შეუძლია არა უადრეს 2008 წლისა. ეს ჩვენი გაანგარიშება როდია. ასეთი მონაცემები მოჰყავს თურქეთის ბურჟუაზიულ გაზეთს „ვატანს“.

(ამხანაზ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოცხადებულ რადიოთი და ტელევიზიით 1962 წლის 2 ივლისს).

ამერიკული „დახმარება“.

